



**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება N181**

20 მარტი 2020 წ.

ქ. რუსთავი

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის – გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის – გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03.12.2019წ., 010250020.35.160.016590) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის განაშენიანების გეგმის განაშენიანების მართვის რეგლამენტის (დანართი 3) მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ცენტრის ზონა (შზ-2)- ცენტრის ზონა წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის შერეული ზონის ქვეზონას, სადაც დომინირებს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები. ცენტრის ზონა (შზ-2) იყოფა ორ სექტორად:

ა) სექტორი 1 (შზ-2)

ბ) სექტორი 2 (შზ-2)

სექტორი 1 (შზ-2) ნებარდართული სახეობაა:

- კვების ობიექტები;
- გართობისათვის განკუთვნილი მომსახურების ობიექტები;
- კომერციული-სავაჭრო მომსახურების ობიექტები;

- რელიგიური/საკულტო და სოციალური ობიექტი;
- ადმინისტრაციული ობიექტები;
- ავტოსადგომი;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტი
- საწყობი;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები

სექტორი 2 (შზ-2) ნებადართული სახეობებია:

- მრავალფუნქციური შენობა;
- სასტუმრო;
- სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობები
- კვების და საოფისე ობიექტები
- მომსახურების ობიექტები, გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტებისა;
- ადმინისტრაციული ობიექტები
- გასართობი დაწესებულებები რომლის დანიშნულება მისი დასაშვებობის საშუალებას იძლევა
- რელიგიური/საკულტო, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვისა და სასპორტო ობიექტი;

მუხლი 2.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის განაშენიანების გეგმის განაშენიანების მართვის რეგლამენტის (დანართი 3) მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. განაშენიანების პარამეტრების ცხრილი:

ფუნქციური ჯგუფი	მიწის ნაკვეთის ფართობი (მ ²)	შენიშვნა ან ქვეუბნის მაქსიმალური სიმჭიდროვე (მუდმივი საცხოვრებელი ერთეულები/ჰექტარზე)	მიწის ნაკვეთის ზომები		შეწვევის მანძილისადმი მოთხოვნები			შენობის მაქსიმალური სიმაღლე (მეტრები)	მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი	მიწის ნაკვეთის განაშენიანების სიმჭიდროვის მაქსიმალური კოეფიციენტი	მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი
			წინა ნაკვეთის მინიმალური სიგანე/ ფრონტილირმე/ სიგრძე (მეტრები)	მინიმალური სიგანე/ ფრონტილირმე/ სიგრძე (მეტრები)	წინა ეზო (მეტრები)	გვერდითი ეზო (მეტრები)	ინიშნული უკანა ეზო (მეტრები)				
შზ-2)-ის სექტორი 1	600	-	20	30	3	0	0	12	0.5/0.6**	2.0	0.2
შზ-2)-ის სექტორი 2	600	-	20	40	0	0	0	-	0.5/0.7**	3.0	0.2
საქმიანი ზონა (შზ-3)	1000	--	20	30	0	0	0	-	0.5/0.7**	3.0	0.2
კომერციული ზონა (შზ-5)	1000/1600*	80	20/40*	30/40*	0	0	0	-	0.7	5.0	0.2

* მრავალფუნქციური შენობებისა და სასტუმროსთვის

** შესაძლებელია მხოლოდ განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავების შემთხვევაში

მუხლი 2

დადგენილებით დამტკიცებულ დანართში - „ქვეზონების რუკა“ შეტანილ იქნეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით (თან ერთვის საინფორმაციო მასალა).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

დავით რეხვიაშვილი